**შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია"** აცხადებს ტენდერს ელექტროენერგიის შესყიდვაზე, მიწოდების პერიოდით 1 ივლისი - 31 ივლისის ჩათვლით, 2026 წელი.

ტენდერის გახსნის თარიღი: **21.07.2026**

წინადადებების მიღების დაწყების თარიღი და დრო: **21.07.2026 17:00 სთ.**

წინადადებების მიღების დასრულების თარიღი და დრო: **24.07.2026 18:00 სთ.**

ფასის ფორმა:

**შესასყიდი ფასი = ესკოს საბალანსო ელექტროენერგიის გასაყიდ ფასს* – ___ %**

გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ შპს „თელმიკოსთვის" რეგულირებადი ტარიფით გამოიყოფა დამატებითი ელექტროენერგიის მოცულობა და აღნიშნული მოცულობა სრულად დაფარავს საზოგადოების საჭიროებას, შესაბამისი ცვლილებები აისახება ტენდერის შედეგებსა და შესასყიდი ელექტროენერგიის საბოლოო მოცულობაზე.

წინადადებები მიიღება ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე:

etender@telmico.ge

წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის დასახელებასა და საიდენტიფიკაციო კოდს;
- საკონტაქტო პირის სახელსა და გვარს, ელექტრონული ფოსტის მისამართსა და ტელეფონის ნომერს (საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელის მინდობილობა);
- ინფორმაციას გენერაციის წყაროს (წყაროების) შესახებ;
- მიწოდების პერიოდს;
- შემოთავაზებული ელექტროენერგიის მოცულობას თითოეული გენერაციის წყაროს მიხედვით ცალ-ცალკე;
- შესასყიდი ფასი = **ესკოს საბალანსო ელექტროენერგიის გასაყიდი ფასი – %**
- ინფორმაციას შემოთავაზებული მოცულობის სრული ან ნაწილობრივი მიწოდების მზადყოფნის შესახებ.

ტენდერის შედეგების შესახებ ინფორმაცია მონაწილეებს წინადადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაეგზავნებათ არაუგვიანეს 28 ივლისის **12:00** სთ.-სა.

**ტენდერში მონაწილეობის წინაპირობა:**

ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვს გენერაციის ლიცენზიანტს ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურს, რომელიც ესკოს მიერ რეგისტრირებულია საბითუმო ვაჭრობის მონაწილედ.

*მიმდინარე საანგარიშსწორებო პერიოდის ფასი